



Tempus



Development of International Model for Curricular Reform
in Multicultural Education and Cultural Diversity Training



ჯაბა ჩხეტიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
კურსდამთავრებული
პროექტ „DOIT“-ის მონაწილე

ნულოვანი კურსის სტუდენტები

„ქართულ ენაში მომზადების პროგრამა“ 2010 წელს დაიწყო. სტუდენტების პირველი ნაკადი უნივერსიტეტებმა იმავე წლის შემოდგომაზე მიიღეს. არაქართულენოვანი სტუდენტების პროგრამაში მონაწილეობის შედეგად ეუფლებიან სახელმწიფო ენას ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მინიმუმ B1+ დონეზე, რომ შემდგომ შესაძლო საბაკალავრო საფეხურის სასურველ პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, ლექცია-სემინარების ქართულ ენაზე გაგება და სასწავლო მასალის ათვისება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს არაქართულენოვანი სტუდენტების უნივერსიტეტის სასწავლო გარემოში ინტეგრირებას, რათა მათ თავიიგრძნონ უნივერსიტეტის სრულფასოვან წევრებად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ ცხოვრებაში.

2010 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 10-12 სტუდენტი, 2014 წელს კი მათმარიცხვმა 160-ს მიაღწია, მათ შორის 110-მა წარმატებით გაიარა ნულოვანი კურსი და ჩაირიცხა მისთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამაზე. ნულოვან კურსზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტს მოეთხოვება ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარება და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა მშობლიურ ენაზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ნულოვანი კურსის სტუდენტების უმრავლესობა ეთნიკურად აზერბაიჯანელია, სომეხი სტუდენტების რაოდენობა დაახლოებით 10-15-ია. აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებს შორის მეგობრული

ურთიერთობაა. როგორც თავად აღნიშნავენ, ამ პროცესში მნიშვნელოვანია ქართველების როლი.

საიდი აზერბაიჯანელია, მილინე სომეხი, ორივემ წარმატებით გაიარა ნულოვანი კურსი და ახლა პირველი კურსის სტუდენტები არიან. მართალია თავიდან ენის პრობლემა ჰქონდათ, მაგრამ სწავლის პროცესში ეს ბარიერი თანდათან დაიძლია. ოჯახის მხრიდან წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ სწავლასთან დაკავშირებით. „ოჯახის დამოკიდებულება ჩემს სწავლაზე, ვფიქრობ იმედიანია, დარწმუნებულები არიან, რომ წარმატებულად დავამთავრებ სწავლას და ჩემი პროფესიით აუცილებლად ვიმუშავებ“ ამბობს მილინე.

მართალია ნულოვან კურსზე ჯგუფი მთლიანად არაქართულენოვანი სტუდენტებისგან შედგება, მაგრამ ბაკალავრის საფეხურზე ეთნიკურად ქართველებთან უწევთ სწავლა და არაფორმალურ გარემოში ყოფნაც. საიდი იხსენებს ექსკურსიას, რომელიც ბორჯომში მოეწყობა ქართველ და სომეხ მეგობრებთან ერთად: „ძალიან სასიამოვნო და კარგი დღე იყო, ცხოვრებაში ასეთი კარგი დღე არ მქონია“. სასწავლო გარემოს მიღმა ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც აღმოჩნდა ქართველმა, აზერბაიჯანელმა და სომეხმა სტუდენტებმა არ იციან ბევრი რამ ერთმანეთის ტრადიციების, ადათ-წესების, რელიგიის შესახებ. „დღეს ქართველებთან ერთად გარდაბანში ვართ პროექტიდან, შევხვდით გარდაბნის ახალგაზრდული ცენტრის წევრებს, პრეზენტაციის შემდეგ რესტორანში ჩავედით, ქლაქი გავიცანით, მერე კიდევ ბევრი თამაში ვითამაშეთ, კარგად გავიცანით ერთმანეთი, კიდევ ორი დღე დავრჩებით და იმედი მაქვს, რომ უფრო კარგი განწყობებით დავბრუნდებით სახლში“.

მათი საქართველო საკმაოდ ოპტიმისტურია. საიდი თვლის, რომ: „5 წლის შემდეგ უფრო და უფრო თბილი და კარგი მეგობრობა იქნება ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის“. მელინა კი 5 წლის განვითარებული ეკონომიკის მქონე საქართველოს ხედავს, სადაც თავს ისე იგრძნობს, როგორც ევროპაში. „ხალხი უფრო კულტურული გახდება, ქურდობა აღარ იქნება და ადამიანები უფრო თავისუფლად და დამოუკიდებლად იცხოვრებენ“ ამბობს მილინე.

